საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №182/ნ
2016 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 24/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017112) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“:

1. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

2. 79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

3. 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

4. 90-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**